

კიდევაც დაიწვამიან...

ნ.ს. ჯ. ლომუანი



„ჩვენ უცილობლად მიგვაჩნია ჯერჯერობით  
კანონიერების თუ არა, მართი-ორი პროცესული ს.  
ჯარისკაც ნაწილის აღდგენა მარცხ საქართველო-  
ში. ამგვარი შენაერთები ჩვენში რომ ყოფილი-  
ყო, უფველია, ი მარტისა და ი აპრილის ტრაგე-  
დიები არ დაგვატყდებოდა“.

მარიკა ბარათაშვილი

(გაზეთე „თბილისი“, 24. I, 1990 წ.)



ბიეტა ავშილავას

ნაქარგების გამოფენით  
განათე მხატვრის სახლი!  
ზოგი ისე აღფრთოვანდა,  
რომ პირველი გარდისახა!  
ის ლამაზი გამოფენაც,  
ის ლამაზი კატალოგიც  
დასტურია შენი ნიჭის,  
უნარის და კარგქალობის!  
მე მადლს ვწირავ ამაშუკელს,  
დიდ ელგუჯას, ყოვლისშემძლეს,  
და როლენა საბანაძეს, —  
ასე თბილად რომ წერს შენზე!  
საქართველოს უკვდავ შვილთა


პორტრეტებს და ავტოგრაფებს  
აბრეშუმზე აჩუქურთმებ,  
საქმეს შერები საშურს, საქებს!  
საქართველო უწყვეტ ჯაჭვად  
და სალოცავ ჯვრად გყავს  
რადგან,

ამიტომაც ჯაჭვისებურ-  
-ჯვრისებური წესით ქარგავ!  
წერ და ქარგავ ნატკენ გულით,  
გარდაცვლილი დედის ცრემლით!...  
სულ ტკივილი, სულ ტირილი! —  
ასეთია ბედი შენი!  
შენს ლექსებზე შექმნილია

მშენიერი სიმღერები,  
მათში ძველი სევდაც წვეთავს  
კოლხების და იბერების!...  
ქედუხრელად დგახარ მტრის წინ  
„ვაჟკაცთ ხვედრი ტვირთით“  
იბრძვი!

ეს ბრძოლა ასახული  
შენთა ლექსთა პირველ წიგნში!  
პოეტ-მქარგავ-პატრიოტი,  
მშრომელი და ჩუმი თანაც,  
ნეტავ, დედასაქართველოს  
ბევრი ჰყავდეს შენისთანა!  
მოგექარგოს, დაგეწეროს  
ბევრი სახე, ბევრი ლექსი  
ოქროს გულით, ოქროს კალმით,  
ოქროს ძაფით, ოქროს ნემსით!...  
ეკლიან გზას დაგილოცავ  
და დავლოცავ შენთან ერთად  
შენს ლექსებს და შენს

ნაქარგებს,  
შენს ხელწერას და შენს  
ხელრთვას!  
ხარ ხალასი ხელოვანი  
და უყვარხარ ხალხს ძალიან  
შენ, ბიეტა-ტკბილქართულო,  
აბშილავა-მაფშალია!



ზაურ ბოლქვაძე

მეგობრული შარყი  
ბელა დურგლიძისა

რედაქციის  
კარგად



ბ  
1987 წ.

რა შერებე უამრ მკვარკულს,  
ან შერებე უამრ თურნულს,  
იძისომ ვახოვრობ, ვინმ მარჯაოქულს,  
რა რილსა მიყვარს, მქანოქონ ვარ!

ქს. X-44.

# სატირული ლირიკა

ინტერნაციონალიზმი  
სულ არაა რთული რამე —  
ჩემი ძმა და ძმაკაცია  
პანამა და სურინამი!..  
მადანსა და ღვინოს ვგზავნი  
ზოგან გემით, ზოგან — ტიკით,  
იმიტომ, რომ ჩემი ძმაა  
ალჟირიც და მოზამბიკიც!..  
ძმობის სუფრას შველი შვენის,  
არა იხვი, არა ბატი!  
ჰოდა, ჩემი ძმაკაცია  
თვით იასილ არაფატი!  
რაკი სხვაზე კარგად ვიცი,  
ვის რა უნდა, ვის რა ელის,  
რა უფლებით არ მითანხმებს  
თავის გეგმებს ისრაელი?!  
სხვები მუდამ შეადგენდნენ  
ჩემი დიდი ზრუნვის საგანს —  
„ხელები შორს ეგვიპტისგან“,  
„ხელები შორს კუბისაგან!“  
სხვა ხალხების სასიკეთოდ  
ჩვენ საზღვრები შევისწორეთ,  
რაც რომსა და ბონში ხდება,  
ჩემი საქმე არის სწორედ!  
ვბრაზობ, ვინმე „ნაცმენი“ რომ  
თაუხედურად მესიტყვება  
ან რაღაცას გულში მღერის  
და არაფერს მეკითხება!  
ვხედავ, ზოგი იყურება  
ჩემკენ ცხვირის აბზუებით:  
დიას, ჩემი ძმები გახლავთ  
ოსებიც და აფსუებიც!..  
და ნურავის ეგონება,  
ძველი ბოღმა არ მახსოვდეს,  
ზანგსაც ვუძმობ, ინდიელსაც,  
ხოლო ქართველს — არასოდეს!

### როცა მტერი გაქვხს..

როცა მტერი გიღიმის,  
უნდა მოერიდო, —  
სულ ერთია, ვინ არის,  
სპარსია თუ დიდო!..  
მტერი მუდამ მტერია, —  
შორია თუ ახლო, —  
გულში მუდამ სწყურია  
შენი სამოსახლო!  
არასოდეს არ გეტყვის,  
თუ შეგამჩნევს ლაქებს!  
ფრთხილად უნდა იყო სულ,  
მტერი როცა გაქვხს!

ლალი ცქიტვილი  
(დაბა ლენინგორი)

### სარკვეართო რჩევები

გასათხოვრებს: სჯობს ოჯახის უღელი დაიდ-  
გათ, ვიდრე მარტობის ტყვე გახდეთ!  
შიამიტებს: მას უფრო ერწმუნეთ, ვინც ნაკ-  
ლებს გარწმუნებთ!  
პატივმოყვარეებს: მამაკაცის ქათინაური ყო-  
ველთვის არ არის თქვენი ღირსების ზუსტი  
საზომი.  
ანჩხლ ცოლებს: თქვენს ქმრებს ხელს უწყობ-  
დეთ და არა — ტრაგიკულ სცენებს!  
ქორის მოყვარულთ: „ცნობისმოყვარეობა“  
შრომისმოყვარეობით დაგცხროთ!

ალმანჯორ თაგაძე

ნახ. მ. აბაშიძისა





# იდეალური შეჯიჯი

იუმორასკა

ოთახში, როგორც ყოველთვის, სარვაშარტოდ საქმიანობს ცოლი. შემოდის ქმარი. რა თქმა უნდა, ფიზიკური და ნერვებ-აშლილი.

— მოხვედი, გენაცვალე? (ეკითხება ცოლი. ესიამოვნა, რომ ნასვამი არ არის).

— ამან თუ მოსვლისთანავე არ მოგშხამა, ისე არ იქნება! ხომ ხედავ, რომ მოვედი, რაღას მეკითხები? (ღიზიანდება ქმარი).

— რა იყო, საყვარელო?!  
— მოდი და, ნუ შეიშლები ჭკუაზე! მე საყვარელი ვარ შენი თუ კანონიერი ქმარი?

— ქმარი ხარ, ცუგო, ქმარი!..  
— ცუგოო!.. ახლა ძაღლიც გამხადე?

— კარგი, რა მოგივიდა, ფისო?!  
— ფისო!.. შმი.. კატაც ვყოფილვარ, ხომ?

— რაზე მოგდის გული, არჩილ, გელერსები!  
— ამუ-ამუ, ფისო-ფისო, არუ-არუ!.. ესაა შენი ალერსი?

— თუ გეწყინა, ბოდიში!..  
— ბოდიში არ შეგლის საქმეს!.. სადილი მზადაა?

— მზად გახლავს!  
— თონის პური თუ იყიდე?

— კი, გენაცვალე!.. ავლაბრის თონესთან მთელი ერთი საათი ვიდექი რიგში!

— ესე იგი, ბავშვი გარეთ არ გაგიყვანია სასეირნოდ?  
— როგორ არ გამიყვანია, ორი საათი ვასეირნე ბაღში!

— დედაჩემთან საავადმყოფოში, რა თქმა უნდა, არ ყოფილ-ხარ!

— როგორ არ ვიყავი!.. ქათმის ბულიონი მივუტანე, დღეს უკეთ არის, სიცხე აღარა აქვს!

— მდაა!.. პიჯაკზე ღილი თუ დამიკერე?  
— დაგიკერე!

— შარვალი თუ დამითოვე?  
— შარვალიც დაგიუთოვე და პერანგებიც!

— ცხვირსაზოცები თუ გამირცხე?  
— სუყველა გარეცხილი და დაუთოებული გინყვია უჯრაში!

— მოიცა, ჩემი ველვეტის შარვალი რომ...  
— მივიტანე ქიშნმენდაში!

— თფუ, შევარცხვინე ასეთი ოჯახი! შენს გემოზე ჩხუბიც კი ვერ მოგიხერხებია კაცს!.. (გადის გაბრაზებული).

ნოდარ ხუნწარია

## მხოლოდ გაბონილი

ვაშლის ხის ქვეშ მომლოდინე ცოლი საყვედურით ხვდება ქმარს:

— ადამ, ასე გვიან რატომ მობრძანდი, ვაჟბატონო?! აბა, ახლავე მითხარი, ვისთან ვაატარე ეს საღამო?

— რას არ მოიგონებ, ევა! დაგავიწყდა, რომ სამოთხეში მარტო ჩვენ ორნი ვართ?

— არა, ევას ეს არ დავიწყებია, მაგრამ როცა ადამს ჩაეძინა, ყოველი შემთხვევისათვის გულმოდგინედ გადაუთვალა ნეკნები!..

— : — : —

— ჩემო ბიჭო, შენ უკვე თორმეტი წლის ვაჟკაცი მყავხარ, დროა, სივარეტის ირგვლივ ვილაპარაკო!

— სიამოვნებით, დედა! მკითხე, რისი ცოდნა გაინტერესებს?

# სასჯელი

იურიდიული

ერთი არც თუ ისე ახალგაზრო კალიგრაფიკა რომ მოჩა, თანამოსაუბრეს შეეკითხა:

— ხომ მართალი ვარ? ჩემი სიყვარულისათვის კაცს ხომ არ დავსჯი, არა?

— რასაკვირველია, ჩემო კარგო, — დაუდასტურა თანამოსაუბრემ, — ის ხომ ისედაც დასჯილია!

ნიქელი პერტანავა

— : — : —

— სტატისტიკის მიხედვით ქალები მამაკაცზე დიდხანს ცოცხლობენ.

— მართალია! ქვრივი ქალები, მაგალითად, ქმრებზე დიდხანს ცოცხლობენ!..

— : — : —

— იცი, ამდენი ხანია მე და ჩემი ცოლი ერთად ვართ და ერთხელაც არ გვიჩხუბია!

— ეგ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთის შესაფერისები არ ყოფილხართ!..

— : — : —

მორიბი ჩხუბის შემდეგ ნაწყენი ქმარი ეუბნება ცოლს:

— დარწმუნებული ვარ, რომ მოვკვდები, ერთი ცრემლიც არ დაგინდება!..

— რატომაც არ დამდინდება?! შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს, ყოველგვარ წვრილმანზე ატირდები ხოლმეო!

— : — : —

ქალს გაზეთის რედაქციაში ქორწინების განცხადება გაუგზავნია: „მინდა ქმარი, რომელიც დილით თავაზიანად მომესალმება, მაცნობებს ამინდის შესახებ, ამინდის საერთაშორისო ვითარებას, მომიყვება საინტერესო ამბებს, მრავალმხრივი იქნება, გამართობს, ლაპარაკს არ შემაწყვეტინებს, ღამით კი მისურვებს — ძილი ნებისაო!“

რედაქციას უბასუხებია: „თქვენ ტელევიზორი გღამებიათ! გირჩევთ, შეიძინოთ!“

— : — : —

— გაიგე? თემური რენიშაციაში დაუწვენიათ!..

— საკვირველია! გუშინ საღამოს კაფე-ბარში დავინახე ერთ მშვენიერ ქერათმიან ქალთან ერთად.

— საქმეც ეგ არი: ცოლსაც დაუნახავს!..

— : — : —

— ირინა, როგორა ხარ?

— ოი, მარინა, ნუღარ მკითხავ! დილით სამი ღერო თეთრი თმა ამოვიძრე!..

— ნუ ღელავ, სანამ თეთრი თმების დათვლას ახერხებ, ეგ არაფერია!..

გაიგონა თამაზ ებანოიძემ

# უცხოური იუმორი

— ორი დღის წინ ჩემი ქმარი შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა! — განაცხადა ცოლმა პოლიციაში. — აი, მისი ფოტოსურათი!

— რა ეცვა?  
— ქონის ლაქებთან ნაცრისფერი შარვალი, დიდიდაუქერებელი პერანგი, ერთი ლურჯი და ერთი ყავისფერი წინდა და თეთრი ძაფით ამოკეხილი ცისფერი სვიტერი...  
— : — : —

— გულშინ ლატარიის ბილეთით ახი ათახი მოვიგე!  
— მერე როგორ შეხვდა ამ ამბავს შენი ცოლი?  
— სიხარულისაგან ენა ჩაუფარდა..  
— ღმერთო, რა კარგია ერთბაშად ამდენი ბედნიერება!

ქმარი ეკითხება ცოლს:  
— ძვირფასო, შენ გამოაცხვე ეს ნამცხვარი?  
— დიახ, დედაშენის მოცემული რეცეპტით!  
— აბა, ყველაფერი გასაგებია. როგორც ჩანს, დედაჩემს დავიწყებია გაეფრთხილებინე, რომ ამ რეცეპტით დამზადებული ნამცხვარი გახდა მისი და მამაჩემის განქორწინების მთავარი მიზეზი!

— მომისმინე, ანდრე! — დაუყვირა უფროსმა, — თქვენ ჩამაბარებთ ანგარიშს იმის შესახებ, რომ სამსახურში დაიგვიანეთ ორი საათით!

— მამატივო, მაგრამ მე მინდა დარწმუნდეთ იმაში, რომ გადამხდა საშინელი ტრაგედია..  
— მაინც რა იყო ასეთი?  
— ჩემი ოთახის ფანჯრიდან გადმოვვარდი..  
— ნუთუ მართლა?! რომელ სართულზე ცხოვრობთ?  
— მეექვსეზე!  
— მეექვსეზე? თქვენ გადმოვარდით მეექვსე სართულიდან და გინდათ დამარწმუნოთ, რომ ამისათვის დაგჭირდათ ორი საათი?!  
— : — : —

ცოლ-ქმარმა შეიტანა განცხადება განქორწინებაზე. მოსამართლე ეკითხება:

— როდის დაიწყო თქვენს შორის უსიამოვნება?  
— 1985 წლის 10 ივნისიდან!  
— საინტერესოა, როგორ დაგამახსოვრდათ თარიღი ასე უზუსტად?  
— ჩვენ ხომ ამ დღეს დავქორწინდით!

ბატარა ბანსმა პოლიციაში მიიბრინა და განაცხადა:

— ჩქარა მიშველეთ! ქუჩაში ვიდაც კაცი მამაჩემს ურტყამს!.. პოლიციელი გავიდა ქუჩაში და ხედავს, ორი მამაკაცი ერთმანეთს მუშტებს ურტყამენ. მიუბრუნდა ბიჭს და ეკითხება:  
— მომისმინე, მე ახლა ამათ გავაშველებ, მაგრამ რომელია მამაშენი?  
— არ ვიცი, ახლა უნდა გაარკვიონ!

— ხომ გთხოვთ, რომ ხუთ საათზე გაგეღვიძებინეთ?! ახლა უკვე შვიდი საათია, ეხე იგი, დამაგვიანდა მატარებელზე!

— მე ნამდვილად ვცდილობდი თქვენს გაღვიძებას ხუთ საათზე, მაგრამ ვერ მოვახერხე, რადგან თქვენ სასტუმროში ექვსის ნახევარზე დაბრუნდით!

ბატონობაზე ერთმა მყიდველმა იკითხა:

— მითხარით, თუ შეიძლება, რით კვებავდით თქვენს ინდურს?  
— რატომ გაინტერესებთ?  
— ისე! მეც მსურს, ასე დავიკლო წონაში..

შოტლანდიელი ძაღლს ყიდა. ამერიკელმა ორმოცდამათხრამეტეწლიანი ინგლისელმა — ორმოცი. შოტლანდიელმა ძაღლი ინგლისელს მიჰყიდა.

— რატომ მიჰყიდე ასე იაფად? — გაიკვირა ცოლმა.  
— ლონდონიდან ძაღლი იოლად მობრუნდება უკან, ნიუ-იორკიდან კი ოკეანის გადმოცურვა მოუწყვეს!

კორეისკონდენსმა ინტერვიუ ჩამოართვა მაღაზიის გამყიდველს.

— უფრო მეტად რა არ არის თქვენს მაღაზიაში?

თარგმანა მანანა ჩოკოშვილმა

## პანს კრასუე

### ისეთიგიც მგაზულაგა..

ზოგი ქმარი ცოლისადმი ზრუნვას მხოლოდ რვა მარტს იჩენს, როცა მისთვის უშურველად მართლაც ძვირფას რამეს იძენს! ზოგს კი იმ დღეს უმნიშვნელო საჩუქარი მოაქვს მუდამ, მთელ წელიწადს ერთხელ მაინც გულუხვობა როდი უნდა! კაპიტასაც რომ ვერ იმეტებს, მე ისეთიც მეგულეება, მართოდენ ტპბილი სიტყვით ეფიცება ერთგულეებას! აი, სწორედ ამგვარ ტიპებს მივაკუთვნოთ უნდა ვიღო, — მეც გიშველი საქმეშიო! — უთხრა ანას რვა მარტს დილით: „წინსაფარს თუ გამიკეთებ ახლა, რა მარჯვეც ვარ, შენი თვალთ ნახავ! საოჯახო წიგნში არის რჩევა, ხორცი უკეთ როგორ იხარშება! დაგვის წესი თუკი იცი სრულად, მაშინ, თურმე, არ ილღები სულაც! წმენდის დროს კი ეს გახსოვდეს მარტო, სწორად უნდა დაიკავო პალტო! მეცნიერულ საფუძველზე დგომა წმენდის დროსაც აიოლებს შრომას!“ მისავათადა ბოლოს ჩვენი ბრძენი, სავარძელში მიესვენა ქშენით, ანამ ხელში აიტაცა ვილი და ლოგინში ჩააწვინა „გმირი“. ამიტომაც ჭურჭლის რეცხვა ახლაც მისთვის ისევ საიდუმლო გახლავთ!

გერმანულიდან თარგმანა მოთა ამირანაშვილმა


## ჰველაზე ძელი ენა

— თქვენ, — მიმართავს ერთი მამაკაცი მეორეს, — ბევრი უცხოური ენა იცით და გთხოვთ ამიხსნათ, რომელია ჰველაზე ძელი შესასწავლი?  
— ქალების ენა! — უპასუხებს მეორე.

## უნივერსალი

— გირჩევთ, ეს ქსოვილი შეიძინოთ, ქალბატონო, ეს-ეს არის, მივიღეთ!  
— მზეზე არ ხუნდება?  
— რას ამბობთ, ქალბატონო?! სამი თვეა, ვიტრინაში დევს, მაგრამ ფერი სრულებით არ შეუცვლია!

თარგმანა იონა ბადავიძემ





იმის ქალობას რა ვუთხრა,  
ვინც მე ამ ზაფხულს მანვალა,  
ვინც ჩემს ცოლს ხილბოსტნეულის  
დაკონსერვება ასწავლა..  
სახლში ფაბრიკა გამიხსნა,  
ერთ დღეს არ აცდენს კვირაში,  
წვავს, თუთქავს, ხარშავს, ამფავებს,  
ლამის მეც ჩამდოს ქილაში..  
რომ მნახოთ, შეგეცოდებით,  
ოფლი ჩამომდის ნურნურიით!..

მოკვდი ჩანთების თრევით და  
სულ ბაზარ-ბაზარ ქუნძულით!..  
ეს რაა, თქვენ ღამით ნახეთ  
შიში და გულისხეთქება,  
მზა ნაწარმი რომ „ბაზ-ბუზ“ და —  
ყუმბარებივით ფეთქდება!..  
შიშისგან ნამოკვცივდებით —  
„არიქა, მტერი დაგვეცა!..  
მერე წამლებს ვსვამთ დილაზე  
მეც და „ფაბრიკის გამგეცა“!

ასლან გვარამიანი  
(ქობულეთის რაიონი, სოფელი ხალა)

საბირისა და იუმორის  
ჟურნალი „ნიანგი“ № 5  
(1807). მარტი. გამო-  
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ გოლგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
კახუა ამირეჯიბი, ნომადი  
ზართია, რევაზ თვარაძე,  
ჭემალ ლოლუა (მხატვარ-  
რედაქტორი). ნოდარ მალა-  
ზონია, ალექსანდრე სამსო-  
ნია, ბეჟან სიხარულიძე  
(მთავარი რედაქტორის მო-  
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-  
ანი, თამაზ წიფიჭაძე.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი დუნღუა

გადაეცა ასაწყობად  
2. 02. 90 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 20. 03.  
90 წ. ქალაქის ზომა  
60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნაბე-  
ჭდი ფურცელი 1,5. საღ-  
რიცხო-საგამომცემლო თა-  
ბახი 1,9. საქართველოს კ-  
ცკ-ის გამომცემლობა,  
ლენინის 14. შეკვ. № 257.  
უფ. 04425. ტირაჟი 125.000  
ქურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ. რედაქციაში შემო-  
სული მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაყების — 99-02-38,  
მდივან-მე მ ა ნ ქ ა ნ ი ს —  
99-76-69.


სატირიკო - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке). Тбилиси, пр. Ру-  
ствели № 42. Издаель-  
ство ЦК КП Грузии,  
ордена Трудового Крас-  
ного Знамени типогра-  
фия издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси,  
улица Ленина № 14.

ფასი 20 კპ.



ინდექსი 76187

ნახ. რ. კარკაშუსაშვილისა



უსიტყვოდ